

საავტორო უფლებების საერთაშორისო და ეროვნული რეგულირება

საავტორო უფლება წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს კონკრეტული იდეის ან ინფორმაციის კუთვნილებას და ავტორის, რომლის ინტელექტუალური ან შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაშრომი, უფლებას ამ იდეის ან ნაშრომის განკარგვასა და გამოყენებაზე. ძირითადად ეს შეეხება ისეთ ნაშრომებს, როგორცაა წიგნები, მუსიკალური ნაწარმოებები, სამხატვრო ნამუშევრები, კინოფილმები და ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ნაწარმოებები, ისეთები როგორცაა კომპიუტერული პროგრამები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები. უმეტეს შემთხვევაში საავტორო უფლების გამოყენების პერიოდი დროში შეზღუდულია. ამის შესახებ საუბარი გვექნება მოგვიანებით, მაშინ როდესაც კონკრეტულ კანონმდებლობას შევეხებით. თუმცა, ბერნის კონვენციის წევრ ქვეყნებში და სხვა ქვეყნებში საავტორო უფლების ხანგრძლივობის პერიოდი არ არის 50 წელზე ნაკლები.

საავტორო უფლება შეიძლება მოიცავდეს შემოქმედებითი, გამომგონებლობითი, ინტელექტუალური ან არტისტული ნაშრომების ან ქმნილებების ფართო სპექტრს. მათ შორის წიგნებს, ბროშურებს და ბუკლეტებს, ხელნაწერებს, პოემებს, დისერტაციებს და სამეცნიერო ნაშრომებს, მოხსენებებს, ლექციებს, დრამატულ ნაწარმოებებს, კინო და ფოტო ნაწარმოებებს, ქორეოგრაფიულ ნაშრომებს, მუსიკალურ კომპოზიციებს (მათ შორის სიმღერებს), აუდიო ჩანაწერებს, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს, სკულპტურებს და ქანდაკებებს, კომპიუტერულ პროგრამებს, რადიო და ტელე მაუწყებლობის გადაცემებს და პროექტებს, ილუსტრაციებს, რუქებს, გეგმებს და სხვა. ზოგიერთ ქვეყანაში საავტორო უფლება ვრცელდება სამრეწველო ნიმუშებზე. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კი აწესებს სამართლებრივ შეზღუდვებს სავაჭრო ნიშნების და პატენტების გამოყენებაზეც.

როგორც წესი, საავტორო უფლების მფლობელს რამდენიმე ექსკლუზიური უფლება გააჩნია:

- აწარმოოს საკუთარი საავტორო უფლების ობიექტი, მოახდინოს მისი კოპირება;
- მოახდინოს ექსპორტირება და იმპორტირება;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას;

- გაყიდოს ან სხვა ფორმით გაასხვისოს საკუთარი საავტორო უფლება.

ტერმინი “ექსკლუზიური” ნიშნავს, რომ მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია სხვა დამატებითი უფლებების განხორციელება და სხვებს ეკრძალებათ მასთან შეთანხმების გარეშე იგივე ქმედებების განხორციელება. ხშირ შემთხვევაში, საავტორო უფლებებს “ნეგატიურ უფლებებს” უწოდებენ, ვინაიდან მისი მიზანია აუკრძალოს ადამიანებს (ვინც კითხულობს, ათვალიერებს, უსმენს ან უყურებს) მისი სხვა მიზნებით გამოყენება.

ბევრი ქვეყნის საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობა ჰარმონიზებულია საერთაშორისო კონვენციის, ბერნის კონვენციის საფუძველზე და მათში ასახულია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების და თანამეგობრობის პრინციპები, როგორცაა ევროკავშირი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

საერთაშორისო შეთანხმებები

საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მრავალი საერთაშორისო შეთანხმება და კონვენცია მოქმედებს. თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ძირითადზე.

ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია. 1886 წლის ბერნის კონვენციამ (Berne Convention) პირველმა მოახდინა საავტორო უფლებების აღიარება საერთაშორისო დონეზე. კონვენციის შესაბამისად, აუცილებელი არაა შემოქმედებით საქმიანობაზე (მათ შორის გამომგონებლობით) საავტორო უფლების დამტკიცება და გაცხადება, ვინაიდან მსგავსი ნაშრომის შექმნის ან საქმიანობის განხორციელების მომენტიდან მასზე საავტორო უფლება ავტომატურად ძალაში შესულად ითვლება. ავტორის არ სჭირდება მისი დარეგისტრირება ან კონვენციას მიერთებულ ქვეყნებში მისი აღიარების და დამტკიცების მოთხოვნა.

დიდი ბრიტანეთი კონვენციას შეუერთდა 1887 წელს, მაგრამ 100 წლის განმავლობაში კონვენციის მოთხოვნების დიდი ნაწილი არ შეუსრულებია. დიდ ბრიტანეთში 1988 წელს მიღებული იქნა საავტორო უფლების, სამრეწველო ნიმუშების და პატენტების აქტი, რის შესაბამისადაც აღიარებული იქნა კონვენციის ძირითადი პრინციპები. ამერიკის შეერთებული შტატები კი კონვენციას 1989 წელს შეუერთდა.

საქართველო კონვენციას შეუერთდა 1994 წელს.

1994 წლის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება ვაჭრობასა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე (**World Trade Organization's Agreement on Trade Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS)**) მოიცავს ბერნის კონვენციის რეგულაციებს, რამაც პრაქტიკულად ბერნის კონვენციის მოთხოვნები მსოფლიო მასშტაბით კიდევ უფრო გამოყენებადი გახადა. შეთანხმებამ დააწესა ინტელექტუალური საკუთრების რამდენიმე ფორმის მინიმალური მოთხოვნები. შეთანხმება გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს წვერი სახელმწიფოების კანონმდებლობას. კერძოდ, კანონმდებლობაში ასახული უნდა იყოს საავტორო უფლებების მფლობელი პირების თუ ორგანიზაციების უფლებები, მათ შორის ხმის ჩამწერი და ტელე მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებები. გარდა ამისა, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს გეოგრაფიულ აღნიშვნებს, სამრეწველო ნიშნებს, პატენტებს, სავაჭრო ნიშნებს და კონფიდენციალურ ინფორმაციას. შეთანხმებაში ასევე მოცემულია სამართლებრივი საკითხები, დავების განხილვის პროცედურა და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ **TRIPS**-მა საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში დანერგა კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ და ამ მიმართულებით დღესაც უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას წარმოადგენს.

შეთანხმება ავალდებულებს წვერ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმები. მაგალითად, შეთანხმების შესაბამისად:

- საავტორო უფლების პერიოდი უნდა გრძელდებოდეს ავტორის გარდაცვალებიდან 50 წლის განმავლობაში. ამასთან, კინო და ფოტო ნაწარმოებებს გააჩნიათ ფიქსირებული, შესაბამისად 50 და 25 წლიანი პერიოდი;
- საავტორო უფლების მინიჭება უნდა ხდებოდეს ავტომატურად, რეგისტრაციის და სხვა ფორმლობების გარეშე;
- კომპიუტერული პროგრამები უნდა განიხილებოდეს ლიტერატურული ნაშრომების მსგავსად და დაცვის იგივე გარანტიები უნდა მიენიჭოს;
- პატენტი უნდა ვრცელდებოდეს ტექნოლოგიების ყველა სფეროში და უნდა მოიცავდეს 20 წლიან პერიოდს.

ბუნებრივია, რომ საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, აღნიშნულ კონვენციაზეც მიერთებულია.

სავტორო უფლებების უნივერსალური კონვენცია (**The Universal Copyright Convention (or UCC)**) მიღებული იქნა 1952 წელს ჟენევაში. შეთანხმება მომზადებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის

ორგანიზაციის მიერ, როგორც ბერნის კონვენციის ალტერნატივა ძირითადად იმ ქვეყნებისთვის (განვითარებადი და სოციალისტური სახელმწიფოები, აშშ და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა), რომელთაც უარი თქვეს ბერნის კონვენციაზე მიერთებაზე, მაგრამ გააჩნიათ სურვილი ჩართული იყვნენ საავტორო უფლებების რეგულირების მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატში. ამ დროისათვის აშშ და ლათინური ამერიკის ქვეყნები საავტორო უფლებების პან-ამერიკული კონვენციის წევრები იყვნენ, მაგრამ ეს კონვენცია გაცილებით სუსტია ვიდრე ბერნის კონვენცია.

“შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ” რომის კონვენცია მიღებული იქნა 1961 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ. კონვენცია იცავს ხელოვანთა (მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა) საავტორო უფლებებს ტელე და რადიო მაუწყებლობაში, საჯარო გადაცემებში და სხვა. გარდა ამისა, ფონოგრამის დამამზადებლებს (ჩანაწერების მწარმოებლებს) ენიჭებათ უფლება აკრძალონ საკუთარი ჩანაწერების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენება. ხოლო ტელე და რადიო მაუწყებლობის ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება მოახდინონ საკუთარი გადაცემების, ან პროექტების ავტორიზაცია.

აღნიშნულ კონვენციას საქართველო შეუერთდა 2004 წელს.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის 1996 წლის ხელშეკრულება “სავტორო უფლებების შესახებ”. ისევე როგორც რომის კონვენცია, ხელშეკრულება იცავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ხელოვნებს (მსახიობებს, მომღერლებს, მუსიკოსებს) და ფონოგრამების დამამზადებლებს და ანიჭებს მათ უფლებას რათა მოახდინონ საკუთარი ნამუშევრების რეპროდუქცია, დისტრიბუცია, გასხვისება და საჯარო წარდგენა.

საქართველო ხელშეკრულებას შეუერთდა 2001 წელს.

ევროკავშირი

ევროკავშირის დონეზე საავტორო უფლებების რეგულირებაში უზრუნველყოფილია წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია. ამ მიზნით მიღებულია რამდენიმე დირექტივა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო მიერთებულია ბერნის კონვენციაზე. პირველი ნაბიჯი

კანონმდებლობის ჰარმონიზების მიმართულებით 1991 წელს გადაიდგა, მაშინ როდესაც მიღებული იქნა ღირექტივა კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი დაცვის შესახებ. გარდა ამისა, მოქმედებს რამდენიმე ღირექტივა, რომელთაგან ძირითადია: რამდენიმე ღირექტივა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, საავტორო უფლებების დაცვის ჰარმონიზაციის შესახებ, მონაცემთა ბაზების სამართლებრივი დაცვის შესახებ და სხვა.

ამერიკის შეერთებული შტატები

კანონი ვრცელდება აშშ-ს ტერიტორიაზე დარეგისტრირებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე და აწესებს სამართლებრივ ნორმებს შემდეგ ნაშრომებზე:

1. ლიტერატურულ ნაშრომებზე;
2. მუსიკალურ ნაშრომებზე;
3. დრამატულ ნამუშევრებზე;
4. სურათებზე, გრაფიკულ და სკულპტურულ ნამუშევრებზე;
5. სამსახიობო და ქორეოგრაფიული ნაშრომებზე;
6. ვიზუალურ, კომპიუტერულ, ვიდეო და აუდიო ნაშრომებზე;
7. ხმის ჩანაწერებზე;
8. არქიტექტურულ ნაშრომებზე.

კანონის შეასაბამისად, საავტორო უფლება დაცულად ითლება დარეგისტრირების შემთხვევაში (ავტომატურად) და დარეგისტრირების დღიდან ავტორებს გააჩნიათ ექსკლუზიური უფლება და შეზღუდული არ არიან, რომ მოახდინონ:

- საკუთარი ნაშრომის რეპროდუქცია;
- საკუთარი ნაშრომის გაგრძელება და გავრცობა;
- საკუთარი ნაშრომისგან სარგებლის მიღება;
- საკუთარი ნაშრომის გავრცელება და გაყიდვა;
- საკუთარი ნაშრომის მემკვიდრეობითა და სხვა პირებისათვის გადაცემა.

სავტორო უფლებებით ვერ სარგებლობენ პირები, რომლებმაც ნაშრომი შექმნეს მაშინ როდესაც ისინი იყვნენ დაქირავებულები. ამ შემთხვევაში სავტორო უფლება მთლიანად გადაეცემა მათ დამქირავებელს (იურიდიულ თუ პიზიკურ პირს) თუ დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის სხვა ხელშეკრულება არ არსებობს.

გარდა ამისა, ავტორის საავტორო უფლება დაცულია იმ შემთხვევაში თუ ნაშრომი პირველად შესრულდა და დარეგისტრირდა აშშ-ში. ხოლო თანავტორობის შემთხვევაში, მინიმუმ ერთი ავტორი აშშ-ს მოქალაქეა ან ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების უფლება გააჩნია.

საავტორო უფლებებით ვერ სარგებლებს ისეთი ნაშრომები, რომლებიც გამოხატვის ფორმებით არ განსხვავდებიან სხვა მსგავსი ნაშრომისგან. აგრეთვე, ისეთი ნაშრომები, რომლებიც მოიცავს არადარეგისტრირებულ იდეებს, მეთოდებს, პროცედურებს, სისტემებს, პრინციპებს, აღმოჩენებს, ილუსტრაციებს, სახელებს, სლოგანებს, გამოთქმებს ან წარწერებს. საავტორო უფლებით ასევე ვერ სარგებლობს ისეთი ნაშრომი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცავს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიცავს ავტორის ორიგინალურ იდეებს.

საავტორო უფლებით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ორნაირად:

1. თუ ნაშრომი შექმნილი და დარეგისტრირებულია 1978 წლის 1 იანვრამდე, მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლით, ხოლო თანავტორობის შემთხვევაში, ყველა ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის გასვლის შემდეგ;

2. 1978 წლის 1 იანვრიდან დარეგისტრირებულ საავტორო უფლებებზე ნაშრომის საავტორო უფლების დაცვა განისაზღვრება სიცოცხლის პერიოდს დამატებული მაქსიმუმ 120 წელი თუ საავტორო უფლების მოქმედების თარიღი არ სცილდება 2047 წლის 31 დეკემბერს.

საავტორო უფლების გადაცემა ხდება ავტორის ნებით, მემკვიდრეობით, სასამართლოს მოთხოვნით ან ავტორის მიერ მისი ნებაყოფლობით გასხვისების, გაყიდვისა და მასზე უარის წაერილობით დასაბუთების შემთხვევაში.

საავტორო უფლებების შეზღუდვა ხდება დაზარალებული მხარის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მაგრამ პირს შეიძლება შეუჩერდეს ნაშრომით სარგებლობა საავტორო უფლებების რეგულირების სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც საფუძველად უნდა ჰქონდეს მკაცრი და დასაბუთებული სამხილები და მტკიცებულებები.

საავტორო უფლებების მარეგისტრირებელი ორგანოა კონგრესის ბიბლიოთეკა. რეგისტრაციისათვის საჭიროა განაცხადის შესაბამისი ფორმის შევსება, მოსაკრებლის გადახდა (რომელიც ძირითადად 45 აშშ დოლარს შეადგენს). თუ შესაძლებელია განაცხადს თან უნდა ერთვოდეს არადაბრუნებადი ასლები და ნიმუშები.

რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში გასცეს საავტორო სერთიფიკატი ან დასაბუთებული უარი.

საავტორო განაცხადის შევსება ხდება ავტორის, თანაავტორის, პიროვნების რომელსაც გადაეცა უფლება, ავტორის მიერ უფლებააღჭურვილი პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ, რომლებსაც ასევე უფლება აქვთ უარის შემთხვევაში გაასაჩივრონ საავტორო უფლებების სააგენტოს გადაწყვეტილება.

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობა იცავს ლიტერატურულ, სამეცნიერო და ხელოვნების ნაშრომების საავტორო უფლებებს და აღიარებული და დაცულია შემდეგი სახის ნაშრომები:

1. წერილობითი, სიტყვიერი, და კომპიუტერული პროგრამები;
2. მუსიკალური ნაშრომები;
3. ქორეოგრაფიული და სამსახიობო ნამუშევრები;
4. ხელოვნების და არქიტექტურული ნამუშევრები;
5. ფოტო და კინემატოგრაფიის ნამუშევრები;
6. ილუსტრაცია, მხატვრობა, გეგმები, ნახაზები, რუკები, მონახაზები, ცხრილები და სხვა შესაბამისი ნამუშევრები.

კანონი ასევე იცავს მთარგმნელობით საქმიანობას თუ მასში ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენებულია ავტორის სპეციფიკური უნარ-ჩვევები. გარდა ამისა, კანონის შესაბამისად, ასევე დაცულია იმ ავტორის საავტორო უფლება, რომელიც მონაწილეობდა მონაცემთა ბაზების შექმნასა და შეგროვებაში.

საავტორო შემოქმედებად არ მიიჩნევა ოფიციალური და სახელმწიფო სტრუქტურებში შექმნილი ნაშრომები, ისეთები როგორცაა კანონები, აქტები და სხვა, იმ შემთხვევაში, თუ მათი შრომის ანაზღაურება ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონი დაცვის ობიექტად მიიჩნევს როგორც საგამომცემლო, ასევე თავისუფალ (არაბეჭდვით) საავტორო უფლებას.

კანონის შესაბამისად, ავტორი განმარტებულია, როგორც სუბიექტი, პირი, რომელიც ქმნის სამუშაოს. კანონმდებლობით დაშვებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე თანაავტორობა.

კანონი განსაზღვრავს ავტორის, როგორც შემქმნელის შემდეგ უფლებებს:

- გამომცემლობის უფლება;
- იყოს ცნობილი როგორც საკუთარი ნაშრომის ავტორი;
- გაანადგუროს ან დააზიანოს საკუთარი ნაშრომი;
- მოახდინოს რეპროდუქცია;
- გაავრცელოს;
- გამოფინოს და წარადგინოს, მათ შორის გააჩნია მაუწყებლობის უფლება (იმ შემთხვევაში თუ სიგნალი ვრცელდება ქვეყნის შიგნით ან იმ ქვეყნებში, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმებები);
- გააკეთოს აუდიო ჩანაწერები;
- ჩაატაროს სამუშაოები, კვლევები და ექსპერიმენტები;
- გაყიდოს ან მიიღოს ნაშრომისგან სხვა სარგებელი;
- გადასცეს ნაშრომი მემკვიდრეობით, როგორც სხვა დანარჩენი ქონება;
- გადასცეს მესამე პირს ნაშრომის ექსპლოატაციის უფლება გარკვეული ვადით ან სამუდამოდ, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულებით, სადაც მკაცრად და გარკვევით უნდა იყოს განსაზღვრული ყველა პირობა, უფლება და მოვალეობა.

კანონის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ გამოიყენონ ნაშრომი საკუთარი ორგანიზაციის ფარგლებში დამატებითი ხარჯების გადახდის გარეშე, ოღონდ მხოლოდ ისეთი ნაშრომები, რომლებიც გაშუქდა საგაზეთო პუბლიკაციებში, სამაუწყებლო და სატელევიზიო გადაცემებში, ვიზუალურ და ხმოვან მოხსენებებში და რომლებიც უშუალოდ ან ძირითადი მიზნით საგანმანათლებლო ფუნქციას ატარებენ.

საავტორო უფლების ხანგრძლივობა მოიცავს ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის პერიოდს, მაგრამ თუ ნაშრომი შექმნილია რამდენიმე ავტორის მიერ, მაშინ ეს კანონი იცავს მათ საავტორო უფლებას ბოლო ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში (კინო და სხვა მსგავსი ნაშრომების შემთხვევაში ავტორებად მიიჩნევა: სცენარის ავტორი, კომპოზიტორი, რეჟისორი, დიზაინერი). ხოლო ანონიმური ნაშრომის შემთხვევაში მისი ვადა განისაზღვრება დარეგისტრირებიდან 70 წლით. ხოლო თუ მოხდება ავტორის გაცხადება მაშინ მისი ვადა განისაზღვრება ჩვეულებრივ მისი გარდაცვალებიდან 70 წლის გასვლის შემდეგ.

კანონის შესაბამისად, ავტორად ასევე აღიარებულია ის პირი რომელიც მონაწილეობდა ნაშრომის შექმნაში და ნაშრომის დასრულება მოხდა მისი გარდაცვალების შემდეგ.

კანონმდებლობა ვრცელდება:

- გერმანიის მოქალაქეებზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებსაც გააჩნიათ დასაბუთებული სურვილი, რომ მათი ნაშრომის დარეგისტრირება მოხდეს გერმანიის კანონმდებლობით და იქ დადგენილი წესებით;
- მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებიც დასაბუთებული მიზეზების გამო მუდმივად ცხოვრობენ ქვეყნის ტერიტორიაზე
- უცხოელ ლტოლვილებზე, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ გერმანიის ტერიტორიაზე.

საავტორო უფლების მიღების მაძიებელი პირები რეგისტრაციის გასაველელად ვალდებული არიან გაიარონ შესაბამისი პროცედურები.

მარეგისტრირებელი ორგანოა პატენტის ოფისი, სადაც ხდება განაცხადის შევსება და წარდგენა. განაცხადში დეტალურად მიეთითება გამოგონების შინაარსი, აღწერილობა, ვადები. ასევე განაცხადს თან უნდა ერთვოდეს გამოგონების ასლი (თუ ეს შესაძლებელია ან რამდენადაც შესაძლებელია) და მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პატენტის ოფისი ვალდებულია 4 თვის ვადაში გასცეს საავტორო უფლების დაცვის სერთიფიკატი ან წერილობით დასაბუთებული უარი. უარის შემთხვევაში, თავის მხრივ, ავტორი უფლებამოსილია გაასაჩივროს პატენტის ოფისის გადაწყვეტილება.

გამოყენებული წყაროები:

1. ინტერნეტ ვებ-პორტალი ვიკიპედია, www.wikipedia.org;
2. ევროკავშირის ვებ-პორტალი, <http://www.europa.eu>;
3. ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://www.copyright.gov>;
4. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ვებ-გვერდი, <http://www.wipo.int>;
5. World Intellectual Property Organization, “Understanding Copyright and Related Right”;
6. საინფორმაციო პოლიტიკის კვლევების ფონდის ვებ-გვერდი, www.fipr.org;